ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წ ყ ა ლ ტ უ ბ ო
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 36 48

18/06/2020

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ“ და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2020 წლის 17 ივნისის N 36 46 და N 36 47 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 17 ივნისის N 31/2020 წერილი, რომლითაც მერი ითხოვს თავისი ინიციატივის გაუქმებას რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ. აქედან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ“ და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2020 წლის 17 ივნისის N 36 46 და N 36 47 ბრძანებები.
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის უფროსს კობა გურეშიძეს.
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

ალექსანდრა ბალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ